მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-2

დ. მესტია

17.03. 2021წ

**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, ვ. ნაკანი, გ. გულბანი, ზ. ჯაფარიძე, თ. ფალიანი, ლ. კვიციანი, ლ. პირველი, მ. დადვანი, ვ. ჭკადუა, ჯ. ფილფანი, ზ. დევდარიანი, კ. გუჯეჯიანი, ლ. ქალდანი. რ. გვარმიანი, თ. დადეშქელიანი, ა. რატიანი.

**სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:** ლ. ფალიანი, მ. სუბელიანი, დ. ნავერიანი, ი. ჯაფარიძე, ი. რატიანი, ი. გირგვლიანი, ზ. ვიბლიანი, ვ. აფრასიძე, ს. ფირცხელიანი, გ. გელოვანი, ლ. წერედიანი,

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის განყოფილების უფროსი თ. დევდერიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის უფროსი ი. ღვაჩლიანი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა** მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

**სხდომის მდივანი:** მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მზია ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრიდან 19 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

## დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: თ. დევდერიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

2 „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

/მომხსენებელი: ი. ღვაჩლიანი. თანამომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

3. „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის)უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 12 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

/მომხსენებელი: ი. ღვაჩლიანი. თანამომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

4. მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის N49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: ი. ღვაჩლიანი. თანამომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.** წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

**საკრებულომ დაადგინა:** მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

**განკარგულება მიღებულ იქნა**
**(განკარგულება № 6 თან ერთვის)**

**მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდერიანმა** „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა ისაუბრა დებულებაში შემავალ ცვლილებებზე, ცვლილება შეეხო სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსებას, თანხა გაიზარდა 2000 ლარამდე, რომელიც ჩაერიცხებათ წლის განმავლობაში ეტაპობრივად, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.**

**აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა**-კომისიამ განიხილა და მოიწონა საკითხი, რომელიც ემსახურება ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო პროცედურებს.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება,** „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

**მიღებული იქნა დადგენილება:**
**(დადგენილება №-6 თან ერთვის)**

**მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. ღვაჩლიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.**

მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის დებულების ცვლილებებზე, სამსახური სარგებლობდა 2017 წლის 28 ნოემბერს დამტკიცებული N36 დადგენილებით, რომელიც სამსახურის დღევანდელ საქმიანობაში შეუსაბამოა, ისაუბრა სამსახურის ძირითად მიზნებსა და ამოცანებზე, უფლება-მოვალეობებზე რომელსაც ეხება მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების შიდა აუდიტორული შემოწმება. სამსახური შედგება უფროსისა და სამი შიდა აუდიტორისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.**

**აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა**-ითხოვა სამსახურს წარმოედგინათ სამუშაო გეგმა,

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**

**მომხრე** ----------17

**წინააღმდეგი** -----

**თავი შეიკავა** ----

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება,** „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

**მიღებული იქნა დადგენილება:**
**(დადგენილება №-7 თან ერთვის)**

**მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა** ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 12 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული სამართლებრივი შენიშვნები, სადაც აღნიშნულია, რომ საკრებულოს არა თანამდებობის პირ წევრებზე თანხის გაცემა მხოლოდ სხდომებზე დასწრებისა და კანონით მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 12 თებერვლის N5 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და მეორე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ,,ყოველი თვის არაუგვიანეს 1 რიცხვისა საკრებულოს წევრი აპარატში წარადგენს მოსახლეობასთან შეხვედრის დამადასტურებელ ოქმს და განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მის მიერ გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯი.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.**

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**

**მომხრე** ----------16

**წინააღმდეგი** -----

თავი შეიკავა ----ზ. დევდარიანმა

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება,** ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 12 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"

**მიღებული იქნა დადგენილება:**
**(დადგენილება №-8 თან ერთვის)**

**მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდარიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის N49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა ერთხელ კიდევ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას თუ რა კატეგორიები ფინანსდებოდა მუნიციპალური პროგრამებით, აღნიშნა რომ პროგრამის ყველა კატეგორიის დასაფინანსებელი თანხამ 70-100%-ით მოიმატა, დეპუტატებს გააცნო თუ რომელ კატეგორიას ერთჯერადი ფულადი დახმარება რამდენით იყო განსაზღვრული.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.**

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**

**მომხრე** ----------19

**წინააღმდეგი** -----

**თავი შეიკავა** ----

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება,** ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის N49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

**მიღებული იქნა განკარგულება:**
**(განკარგულება №-5 თან ერთვის)**

**სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.**
**სხდომა გამოცხადდა დახურულად.**

**მაიზერ ჯაფარიძე**

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარე**